საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1628 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდების შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №538 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილების შესაბამისად, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდების შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის

№538 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართის №1 ცხრილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

ცხრილი № 1

2016 წლის ბიუჯეტი

ათასი ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	138,7
შემოსულობები	10 256,6
შემოსავლები	
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	8 136,0
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	2 120,6
გადასახდელები	9 467,8
ხარჯები	8 474,6
შრომის ანაზღაურება	5 573,8
საქონელი და მომსახურება	2 351,8
გრანტები	10,0
სოციალური უზრუნველყოფა	100,0
სხვა ხარჯები	439,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	873,0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	120,0
ვალდებულებების კლება	0,2
ნაშთის ცვლილება	788,8
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	927,5